



სამედიცინო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან

№ 8-9 (346-347) ოქტომბერი-ნოემბერი, 2021 წელი

გ ა ზ ე თ ი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ISO სერტიფიკატი მიიღო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 – ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო!

აღნიშნული ადასტურებს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სფეროში.

ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს.

ცნობისთვის, ISO-ის 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტია, რომლის პრინციპებია: ლიდერობა, პერსონალის ჩართულობა, პროცესუალური მიდგომები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და ურთიერთობების მართვა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 - ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო!



Certificate of Registration

TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

TBILISI, GEORGIA, VAZHA-PSHAVELA AVE. N33

has been assessed and Certified by Otabu Global Services Pvt. Ltd.
as meeting the requirements of:

ISO 9001:2015

Quality Management System

For the following scope of activities:

PROVIDING EDUCATION SERVICES FOR HEALTHCARE PROFESSIONALS

Issue No :01
Date of Certification: 11 August 2021
1st Surveillance Due: 10 August 2022

Revision No () : NA
2nd Surveillance Due: 10 August 2023
Certificate Expiry: 10 August 2024
(subject to the company maintaining its system to the required standard)

Certificate No:- 0811Q163621

To Verify this Certificate please visit at www.otabuglobal.com




Dr. Anita Gup
(Managing Director)

Otabu Global Services Private Limited

Accredited by IAS (International Accreditation Service, Inc.)
(3060 Satum Street, Suite 100, Brea, California 92821 U.S.A.)

Validity of this certificate is subject to annual surveillance audits done successfully
This Certificate Of Registration Remains The Property Of Otabu Global Services Private Limited and Shall be Returned Immediately Upon Request
Email: info@otabuglobal.com / Website: www.otabuglobal.com

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა დაეხმარა შაჟასა



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს 12 სამედიცინო კლინიკის ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში COVID-19-ის ოპერატიული მართვა შეფასდა.

შემაჯამებელ ანგარიშში, რომელიც მედიცინის დოქტორმა, ანესტეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის დარგში სერტიფიცირებულმა სპეციალისტმა, კნუტ ტაქს-ბრომ, წარმოადგინა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ინტენსიური თერაპიის განყოფილება საქართველოში დაკვირვების ქვეშ არსებულ კლინიკებს შორის საუკეთესოდ შეფასდა.

მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა კლინიკურ მართვაზე, კლინიკების შესაძლებლობებზე, აღჭურვილობაზე, სისტემაზე, ინტენსიური თერაპიის მართვის პროცედურებასა და პერსონალზე.

„ადრეულ სტადიაზე საექიმო/დადასტურებული შემთხვევების გამოსაყოფად, ტარდება შესაბამისი პროცედურები; მკაფიოდ ხდება ფოკუსირება მულტიდისციპლინური გუნდის მიდგომებზე პაციენტების კლინიკურ მართვასთან მიმართებაში, რომელიც გაიდლაინებზეა დაფუძნებული; საჭიროების შემთხვევაში, ხდება მკურნალობის ინდივიდუალური მეთოდების გამოყენება.“

როგორც ჩანს, განყოფილება ძალიან კარგად იმართება, სისტემატურად ხდება პაციენტების კლინიკური მონაცემების შეგროვება შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად და კლინიკური მართვის ფარგლებში გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირების მიზნით. გამოქვეყნებულია რამდენიმე რეცენზირებული პუბლიკაცია COVID-19-ის მართვის შესახებ. განყოფილება არის დადებითად გამოჩენილი“, - აღნიშნულია ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას ეხება.

საქართველოში არსებული კლინიკების მონიტორინგი მიზნად ისახავდა COVID-19-ის პრევენციის, მართვისა და კონტროლის სწრაფი გაუმჯობესების შესაძლებლობებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული დადებითი შედეგებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მორიგი დიდი აღიარებაა.

პროფანესია თემაზე: „ინსულტის თანაგვირევი გამოწვევები, ჩაბარებისა და პინსპექტივი“

2021 წლის 15 ოქტომბერს კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში გამართა კონფერენცია თემაზე: „ინსულტი – თანამედროვე გამოწვევები, რეალობა, რეაბილიტაცია და პერსპექტივები“.

კონფერენცია გახსნეს კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორმა, თსსუ-ის პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ; მომხსენებლები: თსსუ-ის პროფესორი ირაკლი ნატროშვილი, თსსუ-ის პროფესორი მარინე ჯანელიძე, თსსუ-ის პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე, თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი ირინე ხატიაშვილი, თსსუ-ის ასისტენტ-პროფესორი ელზა თათარაძე და კენ ვოლკერის კლინიკის ზრდასრულთა მიმართულების უფროსი – სოფიო შაგიძე.

კონფერენციაზე განიხილეს მწვავე იმემიური ინსულტის ეტიოპათოგენური მკურნალობა, ბოტულინის ტოქსინის გამოყენება ნევროლოგიაში, ინტერდისციპლინური მკურნალობის შედეგები კენ ვოლკერის

კლინიკაში, ასევე, ინსულტის შემდგომი რეაბილიტაციის ახალი გზები.

„ეს კონფერენცია მიმართულია განვითარებაზე, განათლებაზე... ინსულტი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. ის მნიშვნელოვნად განაპირობებს შეზღუდული შესაძლებლობების ფორმირებას ზრდასრულ მოსახლეობაში, შესაბამისად, ამ დაავადების სწორი მკურნალობა და რეაბილიტაცია ეხმარება მოსახლეობას დაიბრუნოს სიცოცხლის ძველი რიტმი და კვლავ გახდეს სოციალური სრულყოფილი წევრი. აქედან გამომდინარე, ამ დაავადების სწორი მართვა და რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია.“

შესაბამისად, კონფერენციაზე მონაწილე მომხსენებლების დახმარებით, ვცდილობთ, ქართველ ექიმებს მივანდოთ ახალი ინფორმაცია აღნიშნული დაავადების მართვისა და რეაბილიტაციის შესახებ“, - განაცხადა პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

კონფერენცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და კენ ვოლკერის საუნივერსიტეტო კლინიკის ინიციატივით ჩატარდა.

თსსუ-ის ვიზა-ჩაქოშინი, პროფესორ სოფიო ბახტაძის, ვიზიტი პოლშის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტში



7 ოქტომბერს უკრაინის ქალაქ პოლტავაში ჩატარდა პოლტავის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 100 წლის-თავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. პოლტავის აკადემიური თეატრში ღონისძიებას ესწრებოდნენ დელეგაციები სხვადასხვა ქვეყნიდან (ლიეტუა, მოლდოვა, ესპანეთი და სხვა).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტიდან იუბილეს დაესწრო თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი სოფიო ბახტაძე, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში ისაუბრა უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის შესახებ, ხაზი გაუსვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და პოლტავის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას.

პოლტავის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვიანტა ჟდანმა, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პროფესორ სოფიო ბახტაძეს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და გამოთქვა მზადყოფნა თსსუ-სა და პოლტავის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

პატივი მივაგას აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას

27 სექტემბერი – ყველა ქართველისთვის ტკივილიანი დღე – 28 წელი სოხუმის დაცემიდან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სოხუმის დაცემის დღიდან 28-ე წლისთავს ბრძოლის ველზე დაცემული სტუდენტების: გიორგი მიროტაძის, ილია მელაძის, ვასილ კილაძის, ნიკოლოზ ლიბრაძისა და რევაზ მუმლაძის სახელების უკვდავსაყოფად აღმართულ მემორიალთან შეხვდა.

თსსუ-ის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის ეზოში მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკეს და გარდაცვლილი გმირების ხსოვნას პატივი მიაცხადეს.

მემორიალთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ: დაღუპულ სტუდენტთა მშობლები და ოჯახის წევრები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენ-



ლები, აფხაზეთში დაღუპული ბიჭების შესახებ წიგნის ავტორი ზურაბ ლემკაშელი და აფხაზეთის ომის ვეტერანი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ქოიავა, რომლებიც თსსუ-ის კურსდამთავრებულები არიან.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირების შედეგად, 10 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 300 000 დევნილი კი უსახლკაროდ დარჩა..

საინფორმაციო უზრუნველყოფა

ოქტომბრის დასაწყისში, ERASMUS+-ის საერთაშორისო კრედიტობილობის (ICM) და ინსტიტუციური განვითარების (CBHE) პროექტებთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტების, რეზიდენტების და დოქტორანტებისთვის ჩატარდა ERASMUS+-ის საინფორმაციო შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, თინათინ კილაშონია, ERASMUS+-ის პროგრამების ინსტიტუციური კოორდინატორი ნინო კანდელაკი და პროფესორი ირმა მანჯავიძე.

ნინო კანდელაკმა დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო ERASMUS+-ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პრინციპები, პირობები, შერჩევისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადების და საკუთარსად მისი წარდგენის წესები.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ERASMUS+-ის ოფისის მიერ ტარდება კონკურსები შემდეგ უნივერსიტეტებში:

- შარიზის ვალ დე მარნი კრეტის უნივერსიტეტში (საფრანგეთი);
- შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტში (გერმანია);
- პიზის უნივერსიტეტში (იტალია);
- ზადარის უნივერსიტეტში (სლოვა-

ტია);

- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში (ესპანეთი);
- კლაიპედას უნივერსიტეტში (ლიეტუა).

აღნიშნულ კონკურსებში გამარჯვებული სტუდენტების, რეზიდენტების და დოქტორანტების მობილობა 2022 წელს განხორციელდება.

შეხვედრაზე კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირმა მანჯავიძემ, როგორც პროექტის მენეჯერმა და ბენეფიციარმა, ისაუბრა ERASMUS+-ის ფარგლებში 2020 წელს დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების (HECB) გრანტის: „სიმულაცია მედიცინის საგანმანათლებლო ბაკალავრიატის პროგრამებზე უსაფრთხოებისა და ხარისხის გაუმჯობესება პაციენტის მოვლისას“ (SA-FEMED+) შესახებ.

პროექტი მიზნად ისახავს კომპეტენციაზე დაფუძნებული, სამედიცინო სიმულაციური სწავლების დანერგვას, თსსუ-ის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის აღჭურვას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აკადემიური პერსონალის გადამზადება კატანიის (იტალია), ვილინუსის (ლიეტუა) და სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტებში (ესპანეთი).

თბილისის სახელმწიფო საექიმო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო AMEE-ის 2021 წლის პირველი კონფერენციაში

ვირტუალურად ჩატარდა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის – AMEE-ის (An International Association for Medical Education) ყოველწლიური კონფერენცია – AMEE 2021. კონფერენციაში 3000-მდე დელეგატი მონაწილეობდა მსოფლიოს 93 ქვეყნიდან. AMEE ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს, სადაც განიხილება სამედიცინო განათლებაში ახალი მეთოდოლოგიები, მიღწევები და პერსპექტივები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო AMEE 2021-ში.

კონფერენციას ესწრებოდა თსსუ-ის 16 წარმომადგენელი; ღონისძიებაზე, თსსუ-ის თანამშრომლების ავტორობით, წარდგენილი იყო 9 პოსტერული მოხსენება. პოსტერების ნაწილი შეიქმნა თსსუ-ში არსებული AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრში ჩატარებული ტრენინგ კურსის-RESME-ის (სამედიცინო განათლების კვლევის უნარები) ფარგლებში.

მომდევნო წელს – AMEE 2022 – კონფერენციის გამართვა ჰიბრიდულ ფორმატში, ლიონში (საფრანგეთი) იგეგმება.

ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა საფარული საზოგადოების შეხვედრა სტუდენტთა შორის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა საფარული საზოგადოებამ სტუდენტებთან შეხვედრა გამართა.

სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს მიანოდეს დეტალური ინფორმაცია საზოგადოების ისტორიის, სტრუქტურის, მუშაობის პრინციპებისა და მიზნების შესახებ. სტუდენტები, ასევე, გაეცნენ საზოგადოების აქტივობებს, პროექტებს, ღონისძიებებს, რომელსაც ტრადიციული ხასიათი აქვს და საკმაოდ ხშირად იმართება. შეხვედრის ბოლოს სტუდენტებმა გა-



მოთქვეს საზოგადოებაში განვერიანების სურვილი.

ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა საფარული საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში და მომავალშიც ბევრ საინტერესო პროექტებს გეგმავს.

საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის სწავლების 100 წლისთავი

1921 წელს, შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, ძმები ზუბალაშვილების სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს ბაზაზე, გაიხსნა პედიატრიული განათლების კურსი – ბავშვთა სწავლება კათედრა – კლინიკით (დღეს – ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი). სწორედ ეს თარიღი მიჩნეულია აკადემიური პედიატრიული განათლების საწყისად საქართველოში.

კათედრას სათავეში ჩაუდგა სიმონ გოგტიძე – ფაკულტეტის მესაძირკვლევთა განყოფილების ხელმძღვანელი მედიკოსი, რომელიც რუსეთის იმპერიაშიც იყო ორდინარული პროფესორი. მან კათედრაზე მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდში (1921-1927 წ.წ.) დანერგა აკადემიური კლინიკის ფუნქციონირების პრინციპები, გამოსცა სახელმძღვანელო ბავშვთა კვებაზე და, რაც მთავარია, დასაბამის მისცა ქართველ პედიატრთა სკოლას; სიმონ გოგტიძის შემდგომ, პრაქტიკულად ყველა ქართველი პედიატრი, მარიამ უგრელიძიდან დაწყებული, მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეებია.

პედიატრიული განათლების მორიგი, გამსაზღვრელი ეტაპი დადგა 1930 წელს, როდესაც შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), გაიხსნა პედიატრიული ფაკულტეტი, ეტაპობრივად შეიქმნა პროფილური და მოსაზღვრე კათედრები/დეპარტამენტები და სასწავლო კურსები – მოთავე დეპარტამენტი, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინისა, ასევე, ნეონატოლოგიის, ბავშვთა სწავლება პროპედევტიკის, საფაკულტეტო პედიატრიის, პოსპიტალური პედიატრიის, პედიატრიის, ბავშვთა ინფექციური სწავლება, ბავშვთა ქირურგიის, ბავშვთა სტომატოლოგიის, ბავშვთა ოფთალმოლოგიის, ბავშვთა ნევროლოგიის, ბავშვთა ენდოკრინოლოგიის, ბავშვთა ჰიგიენისა და სასკოლო ჰიგიენის; 1930-იან წლებში შექმნილი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი (მოგვიანებით – საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია პედიატრიის კათედრითურთ) 2006 წელს ორგანიზაციულად ინტეგრირდა სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურაში.

დღეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისმემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის ეგიდით, წარმატებით ხორციელდება ექიმების, მათ შორის, პედიატრების, სარეზიდენტო, დიპლომისმემდგომი სწავლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება.


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის სფეროს დეპარტამენტების პროფესორის ძალისხმევით შექმნილია სამაგიდო სახელმძღვანელოები ამ დარგში – ირაკლი ფაღვას ორტომიანი „ბავშვთა დაავადებები“ (პირველი, რომელიც ნაციონალურ ენაზე გამოიცა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ქართული პედიატრიის ერთგვარ ენციკლოპედიადაც შეიძლება ჩაითვალოს; ეს სახელმძღვანელო დარგის განვითარების ისტორიასაც შეიცავს წარსულსა და აწმყოში, მასში ასახულია ჩვენი თანამემამულეების ძირითადი ღვაწლი ამ მიმართულებით), ნოდარ ხერხეულიძის „ბავშვთა სწავლება პროპედევტიკა“, ირაკლი ფაღვასის „ნეონატოლოგია“, ნინო მანჯავიძის და გიული მეგრელიძის, ლელი ქერქაძის, იოსებ კვაჭაძისა და მერი გელოვანის „პედიატრია“, ყარამან ფაღვას „ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა“.

საბჭოთა კავშირში პედოლოგიისა და გენეტიკის დარბევა-განადგურების შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სწავლება კათედრა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი იყო, რომელზედაც ისწავლებოდა კლინიკური გენეტიკის ელემენტები და ბავშვთა ფსიქოლოგიური განვითარების კანონზომიერებები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპრინტინგს, რაც პატრიოტიზმის ბიოლოგიურ საფუძვლად მიიჩნევა.

შემდგომი წლების ნიშანდობლივად მოზარდთა მედიცინის კლინიკური ასპექტების სწავლების დანერგვა, პირველად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მხოლოდ ათიოდე წლით უფრო გვიან, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. უფრო მეტიც, მოხდა პედიატრიის, როგორც დარგის, მოდიფიკაცია, დღესდღეობით იგი განიხილება მოზარდთა მედიცინის კომპონენტის შემცველად, შესაბამისად, დისციპლინის სახელიც შეეცვალა – მას ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა უწოდებენ.

სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრობლემის გადარჩევისა და გადარჩევილების მიღების ინტელექტუალური უნარების გათავისებას. გამოიყენება სხვა თანამედროვე მიდგომებიც, მაგალითად, – პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ჩვევები შეისწავლება „კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური



პროფესორი სიმონ გოგტიძე

ნათლების დღევანდელი სტანდარტების შესაბამისი მეთოდები (OSCE, CBCR).

უკანასკნელი წლის მონაპოვარია სამედიცინო უნივერსიტეტისა და გერმანიის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის ასოციაციის შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, გერმანელი პროფესორების ლექციები სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის დარგის აქტუალურ პრობლემებზე, ჯერჯერობით, პანდემიის გათვალისწინებით, ონლაინ ფორმატით.

მედიცინა კლინიკური დარგია და იგი ავადმყოფის საწოლთან უნდა ისწავლებოდეს. დაარსებიდანვე კათედრის ბაზა ზუბალაშვილების ბავშვთა საავადმყოფო იყო. ცხადია, ეს არ იქნებოდა საკმარისი, საჭირო იყო სპეციალიზებული პედიატრიული კლინიკის შექმნა, რაც წარმატებით განხორციელდა კიდეც. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ამ პროფილის ერთადერთი საუნივერსიტეტო კლინიკა საქართველოში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი პაციენტებზე ზრუნვის, სტუდენტების და რეზიდენტების სწავლების, პროფესიული ზრდისა თუ კვლევისთვის. ნეონატოლოგიური დეპარტამენტი ფუნქციონირებს, აგრეთვე, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაშიც.

პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა უნდა იყოს და არის კიდევაც უახლესი თანამედროვე კლინიკური ჩარევების შექმნის, შესწავლისა და დანერგვის პოლიგონი.

აკადემიური განათლება წარმოუდგენელია სამედიცინო კვლევების გარეშე.

პედიატრიული კათედრების წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი დარგის განვითარებაში, ნეონატოლოგიისა და მოზარდთა მედიცინის ჩათვლით, მზარდი ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების დადგენაში ნორმასა და პათოლოგიის დროს.

აღსანიშნავია ეპიდემიოლოგიური კვლევების მაღალი ხვედრითი წილი - ანემიისა და რაქიტის, იუვენილური ჰიპერტენზიის, მოზარდთა ქვეცივი, რესპირატორული ვირუსული და მიკოპლაზმური ინფექციების გავრცელების, ეკოლოგიური პათოლოგიის, სამედიცინო გეოგრაფიის, ანტიბიოტიკების გამოყენების თავისებურებები საქართველოში.

შედარებით ცალკე მდგომი პრობლემატიკა – ABO შეუთავსებლობა დედასა და ნაყოფს შორის, უზნაძისეული „განწყობის“ ფენომენის ზეგავლენა სომატური დაავადებების განვითარებაზე, მათემატიკური მეთოდების, კერძოდ, არამკაფიო ლოგიკის გამოყენება კლინიკურ მედიცინაში, იძულებით გადაადგილებული ბავშვების ჯანმრთელობა (აფხაზეთის ტრაგედიის გამოძახილი), ფუნქციური ასიმეტრია, ბიორითმოლოგია, ინტერნეტდამოკიდებულება, ოჯახური დეპრეზიის როლი.

ჩატარებულია კლინიკური კვლევები ზოგიერთი სამკურნალო ფაქტორის ეფექტურობისა და მოქმედების მექანიზმის დასადგენად; ესენია – აერთოერაპია, კურორტული ფაქტორები, სულფანილამიდები, დაბალინტენსიური ლაზერული გამოსხივება, ბაქტერიოფაგი, პლაფერონი და სხვ.;

დღევანდელი გადმოსახედიდან პრიორიტეტულად და ანგარიშგასაწევად შეიძლება ჩაითვალოს კვლევების შედეგები იუვენილური ჰიპერტენზიის, არამკაფიო ლოგიკის პედიატრიაში გამოყენების, ბაქტერიოფაგოთერაპიის, პლაფერონოთერაპიისა და ლაზეროთერაპიის შესახებ.

საქართველოს პედიატრიული სკოლის წარმომადგენლების პროფესიული და სამედიცინო რენომე მაღალია, რისი ერთ-ერთი დასტურიცაა მრავლისმომცველი სამედიცინო-კლინიკური თანამშრომლობა საერთაშორისო და ეროვნულ სამედიცინო, სასწავლო და სამედიცინო ცენტრებთან, ორგანიზაციებთან და ქსელებთან; ჩამოეთვლიდით ზოგიერთს – ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი, ბიოფიზიკის ინსტიტუტი, გამალეას სახელობის მიკრო-

ბიოლოგიისა და იმუნოლოგიის ინსტიტუტი, მარსელის კოგნიტიური კვლევების ცენტრი, რომის იმეიათი დაავადებების ცენტრი, ლოზანას უნივერსიტეტი, ანტვერპენის უნივერსიტეტი; ჯანმო (ბუნებრივი კვების ხელშეწყობა; დაავადებების ინტეგრალური მართვა ბავშვებში, სკოლის მონაფეების ჯანმრთელობა), იუნისეფი (ჯანსაღი სკოლების ინიციატივა), პრინტო (რემატოლოგიური კვლევები ბავშვებში), იუტიჩი (მოზარდთა მედიცინის სწავლების პროგრამის შემუშავება), აიკორდი (იმეიათი დაავადებები), გენეტიკური კვლევების ცენტრი ვენაში, ჯი-პროექტი (პირველადი იმუნოდეფიციტები), პრაიტონის ჯგუფი (აცრები).

პროფესორის, მეცნიერი პედიატრებისა და ექიმების მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები და ასეულობით სამეცნიერო ნაშრომი ქრესტომათიულია პედიატრიის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისთვის, ექიმებისა და სტუდენტებისათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ განხორციელებულა რომელიმე პროექტი თუ ღონისძიება, მაგალითად, ბავშვთა ექიმთა საზოგადოებისა თუ პედიატრიის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, მრავალი კონფერენციისა და ყრილობის ორგანიზაცია (ბავშვთა ექიმთა ასოციაციის ყრილობები, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინისადმი მიძღვნილი კონფერენციები, ყრილობები ალერგოლოგიაზე, კლინიკური იმუნოლოგიისა და იმუნოგენეტიკაზე, ესეგანის ზაფხულის სკოლები, მედიცინაში გადარჩევილების მიღების საზოგადოების სემინარი, რესპირატორული ასოციაციის ყრილობები, იმეიათი დაავადებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, DAAD-ის კონფერენცია ქართულ-გერმანული თანამშრომლობის შესახებ მედიცინაში და სხვ.), პედიატრიული დახმარების მენეჯმენტი, რომლის ინიციატორები და ორგანიზატორები პედიატრიის კათედრების წარმომადგენლები არ ყოფილიყვნენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სამედიცინო დახმარების განწევა რაიონებში, რომელსაც სათავე მარიამ უგრელიძემ დაუდო. მან, თანამშრომლობით ერთად, მთელი საქართველო მოიარა, მთიანი რეგიონების ჩათვლით. ამ ექსპედიციების დროს ტარდებოდა როგორც უშუალოდ პრაქტიკული მუშაობა, ასევე, მეცნიერული კვლევა – ისწავლებოდა სხვადასხვა დაავადების სინშირე სხვადასხვა რეგიონში. შემდეგ ირაკლი ფაღვას, პედიატრიის ინსტიტუტთან ერთად, მართავდა გასვლით სამედიცინო-პრაქტიკულ სესიებს, სადაც ავადმყოფთა გასინჯვას ემატებოდა ლექციები პედიატრიის აქტუალურ პრობლემებზე, ფაქტიურად, ექიმთა დახელოვნების გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა. დაახლოებით, უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში იოსებ კვაჭაძის, ირაკლი ციციშვილის, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის და ამჟამად – გიორგი ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით, სოციალური პედიატრიის ასოციაციის ეგიდით, რეგულარულად ტარდება ავადმყოფთა გასინჯვები მთელ საქართველოში.

საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების, დაავადებათა მიზეზებისა და მექანიზმების, პროფილაქტიკის, ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი პრინციპების გაცნობა. ამ მიზნებს ემსახურება ლექციები საზოგადოება „ცოდნის“, სახალხო უნივერსიტეტების და აკადემიების სახით, სტატიები, ბროშურები, რადიო და ტელეგადაცემები.

დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სამედიცინო განათლებაში და, კერძოდ, პედიატრიულ განათლებაში, უპირობო ლიდერია ქვეყანასა და რეგიონში.

ვიმედოვნებთ, ეს ტრადიცია აღმავლობით გაგრძელდება, ჩვენი უნივერსიტეტის დევიზი ხომ სწორედ ეს არის – „ტრადიციებით მომავლისკენ“.

პროფესორი ზურაბ პალაჭორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი ყარამან ფაღვას,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



1958 წელი, თსსი-ის ბავშვთა სწავლება კათედრა



1968 წელი, თსსი-ის ბავშვთა სწავლება კათედრა



2010 წელი, თსსუ-ის პედიატრიული მიმართულების თანამშრომლები

გერმანელი ქირურგები

თბილისის სახელმწიფო საპედიატრო უნივერსიტეტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონვეთი თბილისში, 26-29 ოქტომბერს, გერმანიის ქალაქ დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის პროფესორები იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორებმა, მონვეულმა პროფესორებმა, დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის მთავარმა ექიმმა **ჰელმუტ ზიბერმა** და დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის ქირურგმა **ვიქტორ ვაილერტმა** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები: „ყბა-სახის მიდამოს სიმსივნეები“ და „ზედა ტუჩისა და სასის ნაპრალის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“.

ვიზიტის ფარგლებში, 27-29 ოქტომბერს, გერმანელმა პროფესორებმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას მონაწილეობით, თსუ-ის გვიგნის სახელობის პედაგოგიის აკადემიურ კლინიკაში პაციენტებისთვის კონსულტაციები და საჩვენებელი ოპერაციები ჩატარეს.

კონსულტაცია გაენი 20-მდე პაციენტს, აქედან 11-ს ჩაუტარდა საჩვენებელი ოპერაციები, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, ახალგაზრდა სპეციალისტები.

„მოხარულები ვართ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იმყოფებიან ჩვენი გერმანელი კოლეგები – ყბა-სახის ქირურგები, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები და მონვეული პროფესორები დუისბურგიდან, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, – მათ, ეპიდემიოლოგიური რეგულაციების სრული დაცვით, წაიკითხეს ლექციები სტუდენტებისთვის; ასევე, 20-მდე პაციენტს გაუწიეს კონსულტაცია ჟვანის სახელობის პედაგოგიის აკადემიურ კლინიკაში. შერჩეულ პაციენტებს ჩაუტარდათ საჩვენებელი ოპერაციები, რომელიც, სირთულის გათვალისწინებით, საინტერესო იყო არა მხოლოდ თსუ-ის სტუდენტების, არამედ პროფესორებისთვისაც.“

გერმანელმა სტუმრებმა კმაყოფილება გამოხატეს თსუ-ში ვიზიტის გამო, აღნიშნეს, რომ სტუდენტები ავლენენ დიდ ინტერესს, რაც გამოიხატება ლექციებზე თუ ოპერაციებზე მათი აქტიური დასწრებით, ეს კი მნიშვნელოვანია, რომ მომავალში ისინი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.



თსუ-ის ასოციაციის პროფესორის წარმომადგენელი – საფრანგეთის პედაგოგის, ეპიდემიოლოგის, ფონდის მიერ აღქმული თავართქილადი ორი პროექტი დაფინანსდა



ჩვენი გაზეთის მკითხველი მას კარგად იცნობს ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, როცა მაღალი აკადემიური მოსწრებით, ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით იქცეოდა ყურადღებას. გავიდა წლები და დღეს ალექსანდრე (ალექო) თავართქილადი გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (საფრანგეთი) კვლევითი ჯგუფის წევრი, პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის სამედიცინო დირექტორი; გარდა ონკოლოგიისა, კლინიკურ საქმიანობას, შესაბამისი ლიცენზიების საფუძველზე, ეწევა შინაგანი მედიცინის, ჰემატოლოგიის და სამედიცინო გენეტიკის მიმართულებითაც. შინაგანი მედიცინაში შესრულებული ნაშრომებისა და კლინიკური სტაჟირების გამოცდების შედეგების მიხედვით დაჯილდოებულია ოქროს ფონდისკოპით (სორბონის უნივერსიტეტი) და ოქროს მედლით (ავსტრალიის ინტერნისტთა ასოციაცია). ფრანგულ ენაზე გამოსცა სარეკომენდაციო სახელმძღვანელო პერსონალიზებული მედიცინაში, რომელიც აპრობირებულია პარიზის დეკარტის უნივერსიტეტის მიერ. მისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის – „სიმსივნური უჯრედის გენეტიკა“ – რეცენზენტი ნობელის პრემიის ლაურეატი, ტიმ ჰანტი, რომელიც, ამავდროულად, მისი მეორე სადისერტაციო ნაშრომის – „ბიოლოგიური რიტმების როლი სიმსივნური დაავადების განვითარებაში“ – სამეცნიერო ექსპერტიზა გახლავთ; არის გუსტავ რუსოს ინსტიტუტის (პარიზი), იმუნოოპოლოგიის დეპარტამენტის ექიმი ონკოლოგი და უჯრედული თერაპიის მიმართულების ექიმი ჰემატოლოგი-სპლანტოლოგი. მიმდინარე წელს, ბიოლოგიური რიტმებზე შესრულებული ნაშრომის და მისი სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობის გათვალისწინებით, აირჩიეს ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის (AAAS) მუდმივმოქმედი სამეცნიერო საბჭოს წევრად საქართველოდან.

დაგვეთანხმებით, მიღწევითა შთაბეჭდავი წუსხა და გასაკვირი არაა, რომ მისი ნიჭიერების, მუდმივ ზრდა-განვითარებაზე ორიენტირებული მაძიებელი ბუნების, შრომისმოყვარეობის შედეგად მოვიდა კიდევ ერთი დიდი აღიარება: ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის, ფონდის მიერ ალექსანდრე თავართქილადის პროექტები დაფინანსდა – მსოფლიო მასშტაბით კიბოს პრევენციის და მკურნალობის მიმართულებით წარდგენილ პროექტებს შორის ორი სწორედ მას ეკუთვნის.

ჩვენ შევხვდით და აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით გავსაუბრეთ ალექსანდრე თავართქილადის, რომელმაც აღნიშნა:

– ჩვენი მნიშვნელოვანი იყო, რომ მედიცინაში ინოვაციური პროექტების დანერგვის, განვითარებისა და დაფინანსების მიზნით საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის, ინიციატივით 7 მილიარდი ევრო გამოიყო და კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის, რისკ-ფაქტორების სპექტრის ძიების და პრევენციის მიმართულებით მსოფლიო მასშტაბით დაფინანსებულ ათას პროექტს შორის ორი ჩვენი გახლდათ.

პროექტები ქართულ-ფრანგული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში „პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის“ (საქართველო) და „Gustave Roussy“-ის კიბოს კვლევის ინსტიტუტში (საფრანგეთი) განხორციელდა და მიღებულია საფრანგეთის სამედიცინო მეცნიერებათა განვითარების ორგანიზაციის მიერ.

პირველი პროექტი – „**აქტივირებული T უჯრედების და ლეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია სოლიდური სიმსივნეების ქიმიო და იმუნოოპოლოგიის დროს**“ – გულისხმობს სოლიდური სიმსივნეების (სიმსივნეების, რომელიც ვითარდება მკვრივ ორგანოებში) მკურნალობაში უჯრედული იმუნოთერაპიის გამოყენებას. ეს გრძელი და რთული თემაა. მოგეხსენებათ, პერსონალიზებული მედიცინა გულისხმობს ყველა პაციენტზე ინდივიდუალურად მორგებული მკურნალობის სქემას, იმუნოთერაპიის ყველაზე უსტი გზა კი პერსონალიზებული მედიცინაში უჯრედული თერაპიაა.

უფრო ვრცლად რომ ვისაუბროთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული კომბინირებული იმუნოთერაპია მოიცავს, როგორც უჯრედული თერაპიის კომპონენტს, ასევე, სპეციფიკური ონკო-ვაქცინით მკურნალობას.

თითოეულ სიმსივნეს, მისთვის დამახასიათებელი, უნიკალური მუტაცია გააჩნია, რომლის მხოლოდ მცირე ფრაქციაა საერთო სხვადასხვა პაციენტში. „გენომიკის“ ტექნოლოგიურმა პროგრესმა, მონაცემთა მეცნიერულმა ანალიზმა და სიმსივნის იმუნოთერაპიამ დასაბამი მისცა გენომში მუტაციების კარტირებას ანუ პერსონალიზებული გენომური რუკების შექმნას. ვაქცინის სამიზნის რაციონალური სელექცია და შესაბამისი თერაპია ინდივიდუალურად მორგებულია კონკრეტული პაციენტის სიმსივნეზე. ვაქცინის გამოყენებამ ადამიანებზე ჩატარებულ კლინიკურ კვლევებში გამოავლინა მაღალი ვარგისიანობა, უსაფრთხოება და იმუნო-

თერაპიული აქტიურობა სამიზნე, ინდივიდუალური სიმსივნის მუტაციის მიმართ. ვაქცინის განვითარებას ხელი შეუწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების დახვეწის ინოვაციურმა ცვლილებებმა. **სწორედ ინდივიდუალური სიმსივნური მუტაციის შესაბამისი ვაქცინაცია არის პირველი, ნამდვილი პერსონალიზებული სიმსივნური მკურნალობა.**

იმისთვის, რომ მოხდეს პერსონალიზებული მუტანომის ვაქცინების კლინიკური გამოყენება, საჭიროა, ინდივიდუალურად, პაციენტზე მორგებული, შესაბამისი ვაქცინის სწრაფი წარმოება და დროული მიწოდება. ვაქცინების წარმოქმნის დრო დამოკიდებულია მის ფორმალზე, რომელიც განაპირობებს იმუნური პასუხის მნიშვნელობას და ხარისხს.

პაციენტები მკურნალობენ სტანდარტული მკურნალობის მეთოდებით მანამ, სანამ პერსონალიზებული ვაქცინა დამზადდება. მოსალოდნელია ორივე ტიპის, როგორც პეპტიდური, ასევე მრნმ-ის შემცველი ვაქცინების პროდუქციის დროის 4 კვირამდე შემცირება.

პროცედურაში მონაწილეობს დონორი – პაციენტის გენეტიკურად ახლო ნათესავი, რომელიც არის პლაზმის, ლიმფოციტების და ლეროვანი უჯრედების მიმწოდებელი პაციენტისათვის. დონორის შერჩევა, რასაკვირველია, ხდება მისი სრულფასოვანი გამოკვლევის შედეგად. პაციენტის და დონორის მონიტორინგი გრძელდება 2 თვის განმავლობაში ონკოლოგიის, ტრანსფუზიოლოგიის და თერაპევტიკის მიერ.

ინდივიდუალური ვაქცინებით თერაპიას არა აქვს კონკრეტული სამიზნე სიმსივნე, მისი გამოყენება შესაძლოა მოხდეს ყველა ტიპის სიმსივნეზე და ყველა ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებში. მთავარია პაციენტში ინახოს კონკრეტული ბიომარკერი (გენეტიკური ტესტებით ან სისხლის ბიომარკერების კვლევით), რომელიც ინდივიდუალური ვაქცინის შექმნის განმსაზღვრელი იქნება. ინდივიდუალური ვაქცინაზე პასუხი დამოკიდებულია პაციენტის ინდივიდუალურ მიმდებლობაზე და სიმსივნური დაავადების შორსნასუსლობაზე. საყურადღებოა ისიც, რომ ხშირად, ვაქცინის გამოყენების შემდეგ, სიმსივნეები ხელახლა ხდება მგრძობიარე ქიმიოთერაპიისა და იმუნოთერაპიისადმი.

პერსონალიზებული მუტანომის ვაქცინაციის ყველა მეთოდი აპრო-

ბირებულია ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ. პერსონალიზებულმა სიმსივნის ვაქცინამ პირველი კრიტიკული დაბრკოლება – მისი კლინიკური ტრანსლაცია – წარმატებით გაიარა. დღემდე მის გამოყენებას რეკომენდაციას უწევს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო (IARC) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO). იაპონიასა და ავსტრალიაში ანტი-სიმსივნური ვაქცინები ხშირად გამოიყენება პირველი სიმსივნეებში, ხოლო უკვე ნამკურნალებ და რეზისტენტულ პაციენტებში უალტერნატივოა. პერსონალიზებული მუტანომის ვაქცინას აქვს პოტენციალი, სიმსივნური ტიპისაგან დამოუკიდებლად, გახდეს უნივერსალურად გამოყენებადი მკურნალობის სახე.

ფონდის მიერ დაფინანსებული მეორე პროექტი – „**ინტრავენური გამოყენების ბაქტერიოფაგები კლინიკურ პრაქტიკაში სიმსივნურ დაავადებასთან ასოცირებული ბაქტერიული სეფსისის დროს**“ – მოიცავს სიმსივნესთან ასოცირებული სეფსისის ბაქტერიოფაგებით მკურნალობას.

მოგეხსენებათ, ფაგები ანტიბიოტიკების ბუნებრივ ალტერნატივად მიიჩნევა. დღესდღეობით ანტიბიოტიკები ფარავნ ბაქტერიული ინფექციების დაახლოებით 40%-ს, ანუ ბაქტერიული ინფექციების 60% არის ანტიბიოტიკებზე რეზისტენტული და, შესაბამისად, პაციენტები ასეთი ინფექციებით, ხშირად სეფსისით იღუპებიან.

დღესდღეობით მიდის ინტენსიური ძიება ფაგების არსენალის გაფართოებისა და კლინიკაში მისი იმპლემენტაციისთვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური გათვლებით ცნობილია, რომ 2030 წელს ანტიბიოტიკებზე მგრძობიარე მიკრობები იქნება მთელი ინფექციური დაავადების 10%, რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტების 90%-ს ემუქრება ქრონიკული ინფექციური დაავადებით ცხოვრება და სეფსისით დაღუპულთა რიცხვიც საგრძობლად გაიზრდება.

ამ ეტაპზე ფარმაცევტული კომპანიები აქტიურად მუშაობენ უნივერსალური ბაქტერიოფაგების კოქტილების შექმნაზე, რადგან მოსალოდნელი პრობლემა თვალსაჩინოა. ფაგების წარმოებაში დღესდღეობით მსოფლიოში ლიდერი ქვეყნებია დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია და საფრანგეთი...

თსუ-ის ასოციაციის პროფესორის წარმომადგენელი - საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის, ფონდის მიერ აღესრულდა თავითავე დაჯილდოვებული

დასაწყისი გვ 3-4 და 6

ბაქტერიოფაგების კვლევისა და წარმოების მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, ალბათ საქართველოშიც მნიშვნელოვანი პერსპექტივა იხსნება აღნიშნული თვალსაზრისით...

დაიხ, საქართველო გახლავთ ფაგების კულტივირების და ექსპერიმენტული ფაგოთერაპიის საკმაოდ დიდი ბაზა, თუმცა ამ ეტაპზე, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზერულ როლს ასრულებს სამეცნიერო კუთხით. საქართველოდან, მსოფლიო მასშტაბით, ყველაზე მრავალფეროვანი სამეცნიერო პუბლიკაციებია დაბეჭდილი ბაქტერიოფაგებისა და ფაგოთერაპიის მიმართ. მათგან, ვფიქრობთ, რომ საქართველო კვლავ ვაქცივთ ლიდერ ქვეყანად ფაგოთერაპიის მიმართებით.

ჩვენ მიერ კოქტეილის სახით შექმნილი დაახლოებით 22 სხვადასხვა ტიპის ფაგა ეფექტური ულტრარეზისტენტულ ბაქტერიულ შტამებზე, მათ შორის: პროტეუსზე, ფსევდომონაზე, ოქროსფერ სტაფილოკოკსა და სტრეპტოკოკების სხვადასხვა ტიპებზე, ასევე, ისეთ რეზისტენტულ მიკრობებზე, როგორებიცაა:

- Acinetobacter baumannii-carbapenem-resistant;
- Klebsiella, Escherichia;
- Proteus;
- Pseudomonas - Pseudomonas aeruginosa. (carbapenem-resistant).

ეფექტურობის მიხედვით In Vitro აღნიშნული ფაგები უსწრებს ბოლო თაობის ანტიბიოტიკების მგრძობელობას, რაც დადასტურებული გვაქვს ლოკალურ ლაბორატორიებში გამოკვლევებით.

ჩვენი მიზანია მოვახდინოთ აღნიშნული ბაქტერიოფაგის კვლევა საერთაშორისო რეფერალურ ლაბორატორიაში, შევადაროთ მისი აქტივობა ანტიბიოტიკებისა და ბაზრზე არსებული ფაგების ეფექტურობას, ასევე, შევინსაჯოთ მისი ეფექტურობა რეზისტენტულ ბაქტერიებზე და შემდგომ მოხდეს მისი სერიული წარმოება.

რომ შევჯავაშოთ, აღნიშნული კვლევები ახალ გზებს სასაგს ინოვაციური ფარმაცევტული ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხარისხის ზრდის მიმართებითაც.

ცხადია, ამ ეტაპზე უახლოესი გეგმები მთლიანად ზემოაღნიშნული პროექტების რეალიზებას უკავშირდება, თუმცა მეცნიერება, კვლევები, პროექტები თქვენი საქმიანობის ერთი მხარეა, მეორეა - კლინიკური პრაქტიკა და ამ კუთხით დატვირთული და შრომატევადი ყოველდღიურობა...

დაიხ, კლინიკურ პრაქტიკას რაც შეეხება, დღემდე მინევა დაახლოებით 25-30 პაციენტის კონსულტირება, რაც, არცთუ იშვიათად, გრძელდება პაციენტთა მონაცემების სახლში ხელახალი განხილვით და განალიზებით. მართალია, ეს ძალიან შრომატევადი და დამლულია, მაგრამ, ამავდროულად, სასამოელოც, ვინაიდან ექიმის ყველაზე საუკეთესო უკუგება, მერწმუნეთ, გამოჯანმრთელებული პაციენტია...

დასაწყისი ნატო გოლქვაძე

თსუ-ის პროფესორის საპატიო თბილისის წოდება მიენიჭა



თბილისის წინაშე განეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ხანგრძლივი სამსახურის და მალალი პროფესიონალიზმისთვის, „საპატიო თბილისელის“ წოდება ენიჭება საზოგადოების გამორჩეულ წევრებს, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა ყველასთვის სამაგალითო და მისაბაძია. ამ მიმართებით უმნიშვნელოვანესია ქართველ მედიკოსთა ლეანლი, როგორც დედაქალაქელთა, ისე, - ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

აღსანიშნავია, რომ 1979 წლიდან „საპატიო თბილისელის“ წოდებას არაერთი გამორჩეული ექიმი ფლობს, რომლებმაც თავიდან ცხოვრებით და საქმიანობით საზოგადოების მხრიდან დაფასება და აღიარება დაიმსახურეს.

„გასაგები მიზეზების გამო, წელს „თბილისობის“ დღესასწაული მხოლოდ ერთი გამორჩეული ტრადიციით შემოიფარგლა და ეს, ლეანლი ადამიანებისთვის „საპატიო თბილისელის“ წოდების მინიჭებაა“, - აღნიშნა საზეიმო ცერემონიაზე, თბილისის მერმა, ბატონმა კახი კალაძემ.

და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ წელს, ლეანლი ადამიანთა შორის, „საპატიო თბილისელის“ წოდება მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრის მიმართულების ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ირაკლი ფავლენიშვილს - ლირსულ ქართველ პედიატრს, რომლის ცხოვრება და საქმიანობა ათწლეულებია ქვეყნის სამედიცინო განათლების, მომავალ პროფესიონალთა აღზრდისა და ჩამოყალიბების, აგრეთვე საქართველოში პედიატრიისა და ნეონატოლოგიის განვითარებისკენ მიმართული.

პროფესორ ირაკლი ფავლენიშვილის კარიერული წინსვლა რამდენიმე ათეულწლოვან პერიოდს ითვლის - გამორჩეულია თსუ-ის აღზრდილის და წარჩინებული კურსდამთავრებულის, წარმატებული საქმიანობა ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის გამგის, სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორის, პროექტორის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პედიატრის, საქართველოს პარლამენტის ბავშვთა უფლებების დაცვის საბჭოს წევრის თანამდებობებზე მუშაობისას, შემდგომში კი - თსუ-ის დიპლომისმემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, თსუ-ის რექტორის მოადგილის, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პედიატრიისა და ნეონატოლოგიაში ექსპერტის მოვალეობების თუ ამჟამინდელი მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობის შესრულებისას.

უდიდესია ირაკლი ფავლენიშვილის, როგორც პედაგოგის და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორის, წვლილი სამედიცინო განათლების სფეროსა და ქვეყანაში პოლიომიელიტისა და ნითელა/ნითურას ერადიკაცია/ელმინაციის საქმეში. მისი ავტორობით გამოცემულია 4 ფუნდამენტური სახელმძღვანელო, რამდენიმე მონოგრაფია, 5 დამხმარე სახელმძღვანელო ექიმებისათვის; გამოქვეყნებული აქვს 305 სამეცნიერო ნაშრომი.

ბატონი ირაკლი, პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობასთან პარალელურად, თბილისის სხვადასხვა ბავშვთა საავადმყოფოში წარმატებით ხელმძღვანელობდა საექიმო-კლინიკურ საქმიანობას; მონაწილეობდა უამრავ საერთაშორისო პროექტში, სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციასა თუ კონგრესში; 1991 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, 2003 წელს - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ოქროს მედალი. 1996 წელს აირჩიეს ამერიკის პედიატრთა აკადემიის წევრად, ხოლო 1997 წელს - ახალი ორლეანის საპატიო მოქალაქედ. დაჯილდოებულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მედლით.

ბატონ ირაკლის დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში პედიატრიისა და ნეონატოლოგიის განვითარებაში, მან წლების განმავლობაში უამრავი ახალგაზრდა მედიკოსი გაზარდა და, როგორც ექიმი, არაერთი პატარას სიცოცხლე იხსნა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამაცხობს, რომ აღიარებულ პროფესიონალთა შორის თსუ-ის პროფესორია, რომლის წვლილი უდიდესია საქართველოში პედიატრიისა და ნეონატოლოგიის განვითარებაში.

დასაწყისი კომლაძე

ოლიმპიელი ექიმი

სპორტულ მიღწევებში „ლომის წილი“, სპორტსმენებთან ერთად, ექიმებს - სპორტული მედიცინის წარმომადგენლებს, ეკუთვნის. სწორედ მათი თანადგომა და მიზანმიმართული საქმიანობა უსახავს იმედს ახალგაზრდა სპორტსმენს, აძლევს სტიმულს წარმატებისთვის და უხსნის გზას გამარჯვებისკენ...



გზა სპორტულ მედიცინამდე იოლი არ ყოფილა...

ზურაბ კახაბრიშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული იყო, 9 აპრილის ტრადიციის უშუალო თვითმხილველი რომ გახდა და ნახა, თუ რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს მომხდურის პირისპირ უთანასწორო ბრძოლაში მყოფი ხალხი...

მერე, სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კათედრაზე შექმნილი სათანადო ცოდნით აღჭურვილი, აფხაზეთის ომში წინა პოზიციებზე იდგა... თუმცა, ტამიშთან მიმდინარე უთანასწორო ბრძოლებიც, მძიმე ტკივილად შემორჩა გარნიზონის ახალგაზრდა ექიმის მეხსიერებას...

ძიუღოში სცადა ბედი, მამა საქართველოს ჩემპიონი იყო ქართულ ჭიდაობაში და აქტიურ სპორტში ჩაბმა მისი ოჯახური ტრადიციის გაგრძელებაც იქნებოდა. თსუ-ის სახელით უნივერსიადაც მოიგო, შემდეგ მწვრთნელის ფუნქცია შეითავსა ძიუღოში, პარალელურად მსაჯობდა კიდეც, მერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ იწყება სვლა სპორტული მედიცინის სივრცეში დასამკვიდრებლად და წარმატებებმაც არ დაახანა...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ჩამოყალიბების შემდეგ, ზურა კახაბრიშვილისთვის, ბატონ ვალერი ახალკაცთან ერთად, იწყება ახალი ეტაპი სპორტული მედიცინის განვითარების საპასუხოდ - ახალგაზრდა თაობის სათანადო მომზადება ამ მიმართებით, სწორედ, მათი ზრუნვის მთავარ საგანად იქცა.

ქართული სპორტისადმი ბატონი ზურაბის გულშემოტიკეობა სპორტსმენებისადმი დიდი თანადგომით გამოიხატა და მისი, როგორც უკვე სპორტულ მედიცინაში მოღვაწე პედაგოგის, მეცნიერის და აღიარებული სპეციალისტის, თუ ძალისხმობის საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო კომიტეტის წევრის და ქართული ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი, წვლილი ქართველ ოლიმპელთა მიღწევებში უმნიშვნელოვანესად შეიძლება ჩაითვალოს; ალბათ შეუფასებელია ტოკიოს მიმდინარე წლის ოლიმპიადის „ქართული ნადავლის“ - რვა ოქროს მედლის - მოპოვებაში, ბატონი ზურაბის წვლილი.

35 ქართველი ოლიმპელის სრულყოფილ სპორტულ ფორმაში ყოფნა და, შესაბამისად, მათი მიღწევები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, ქართველი ექიმის ყოველდღიური მუხლჩაუხრელი შრომის შედეგაცაა, თავის

აღზრდილ, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის 9 ახალგაზრდა კურსდამთავრებულთან ერთად...

ტრავმა სპორტული ცხოვრების თანამდევია ნაწილია, რომელთან სათანადო გამკლავება ნებისყოფის სიმტკიცეს და უზღვევ ენერჯის ითხოვს ექიმსგან. უმძიმესი სპორტული ტრავმის ლაშა ბექაურის - 90 კგ. წონითი კატეგორიის ძიუღოსტის - ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადო კონდიციაში მიყვანით, ბატონმა ზურაბმა, კოლეგებთან ერთად, ალბათ, შეუძლებელი შეძლო - ტოკიოში ქართველმა სპორტსმენმა ლირსულად მოიპოვა უმაღლესი სინჯის ოლიმპიური მედალი.

მეტი სიმამლევების დაპყრობაზე ფიქრობს ოლიმპიელთა ექიმი, ახალგაზრდა თაობის გაჯანსაღების, მათი აქტიურ სპორტში მეტად ჩართულობის მომხრეა, ტამიშიდან წამოღებული სათუთად გადანახულ ქართულ დროშას კი, სამომავლო წარმატებების სიმბოლოდ მიიჩნევს, ქვეყნის გაძლიერების და უკეთესი მერმისის შექმნის სიმბოლოდ...

ბატონი ზურაბი ალბათ იმითაც



ამაცხობს, რომ თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჯერ კიდევ უსუსური მატერიალური შესაძლებლობების მქონე დარგისთვის, თითქმის მიუღწევად აღიქმებოდა საერთაშორისო დონის სიახლეების დანერგვა სპორტული მედიცინის სფეროში, დღეს უკვე სხვაგვარ ვითარებაში - მაშინდელთან წარმოდგენილად მეტი შესაძლებლობებით უწევთ საქმიანობა და სიმამლევების დაპყრობაც ამ მიმართებით...

დასაწყისი კომლაძე



წარმატება და წარმატების გზა

მათ უკან მოიხილავს აბიტიურების რთული პერიოდი, აიხსნის ოცნება და სტუდენტები გახდნენ, თუმცა იმასაც უსუსტად აცნობიერებენ, რომ განვლილ დაბრკოლებებთან შედარებით სწავლის და პროფესიის დაუფლების პროცესი გაცილებით რთული იქნება, რადგან ბევრი შრომა და დიდი ძალისხმევა დასჭირდება მიზნის მისაღწევად — გახდნენ მაღალკვალიფიციური ექიმები, სტომატოლოგები, ფარმაცევტები, ჯანდაცვის სპეციალისტები... ჩვენ რამდენიმე მათგანთან შევეძელით გასაუბრება — მათთან, ვინც წარმატებით დაძლიეს საგამოცდო ბარიერი და მაღალი ქულებით ჩაირიცხნენ საოცნებო უმაღლეს სასწავლებელში — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში...

სოფიო ივანიძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა და, ბუნებრივია, განსაკუთრებით სასიხარულო და ამადლეველი მისთვის რეიტინგული სიის პირველ ადგილზე მოხვედრა იყო: „ბედნიერებაა, როცა აანალიზებ, რომ შრომა დაგაფასდა და დასახული მიზ-



ნისკენ ერთი ნაბიჯით წინ მიიწევ“, - აღნიშნავს იგი. არათუ ბავშვობიდანვე ოცნებობდა, არასოდეს უფიქრია ექიმობაზე. გარდამტეხი აღმოჩნდა პერიოდი, როცა ანატომიის შესწავლა დაიწყო სკოლაში. დიდი იყო ბიოლოგიის მასწავლებლის როლიც მის დაინტერესებასა და მომავალი პროფესიის განსაზღვრაში... საინტერესო და ნიჭიერი გოგონას ინტერესის სფერო, გარდა მედიცინისა, კოსმოსი და პლანეტებიცაა. მიიჩნევს, რომ ადამიანის ორგანიზმიც, ჯერ კიდევ, ისეთივე შესწავლელი და ამოუცნობია, როგორც

სამყარო. ალბათ, სწორედ ამიტომ იზიდავს ორივე...

სოფიოს, ისევე როგორც მის თანატოლებს, განსაკუთრებით — პირველსემესტრელებს, უჭირს პანდემიით გამოწვეულ უჩვეულო რეჟიმთან შეგუება: „ცოტა მოსაწყენია, რომ სტუდენტობის პირველი დღეების გატარება შინ მომიხდა, ჯგუფებებს სოციალური ქსელით ვეკონტაქტებოდი, ბევრი მათგანი ჯერ არც კი მინახავს, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ მალე დაეუბრუნდებიან ჩვეულ ცხოვრებას, უნივერსიტეტში ერთად ყოფნის ბედნიერებასაც გამოცდილი, ბევრს შევიცნობთ, ვისწავლით და, დარწმუნებული ვარ, წინ საინტერესო დღეები გველის“...

სოფიოს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუმცა ბავშვებისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა, შესაძლოა, პედაგოგიური საქმიანობისკენ უბიძგოს...

ჩვენს შეკითხვაზე, რატომ აირჩია და როგორ მოსწონს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მისი პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მდიდარი ტრადიციების საუკეთესო უმაღლესი სამედიცინო სკოლაა საქართველოში, სადაც მომავალი პროფესიონალების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბებისთვის ყველა პირობაა შექმნილი: „მართალია სწავლის დანებება დისტანციურ რეჟიმში მოგვიწია, თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ლექტორები და სემინარები პრეზენტაციებით მაქსიმალურად ცდილობენ საინტერესოდ მოგვანოდონ ახალი მასალა და გაგვიმარტონ სწავლა. გავიცანი ძალიან ბევრი ახალბედა თუ მაღალსემესტრული სტუდენტი, შევიძინე ახალი მეგობრები, ჩემი მომავალი კოლეგები... მიხარია, რომ ასეთ კარგ გარემოში აღმოვჩნდი, რაც მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. ჩვენ, ყველას, ერთი მიზანი გვაერთიანებს — გავხდეთ პროფესიონალები და ვიზრუნოთ ადამიანების ჯანმრთელობაზე, - აღნიშნავს სოფიო.

სოფიოს მსგავსად, წარმატებით დაძლია საგამოცდო ბარიერი და სტომატოლოგი-



ის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა **გიორგი კომახიძე**, რომელიც ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს: „ყოველთვის მიმარტავდა, რომ სტომატოლოგობა ერთ-ერთი საინტერესო პროფესიაა. ვფიქრობ, ლამაზი ღიმილი ადამიანს თავდაჯერებას აძლევს, ეხმარება თვითრეალიზებასა და საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში. მოხარული ვიქნები, თუკი ჩემი პროფესია არაერთი ასეთი ღიმილის შექმნის შესაძლებლობას მომიცემს“...

აღსანიშნავია, რომ გიორგი, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, აქტიურობით და მრავალმხრივი ინტერესით გამოირჩეული გახლდათ. ჯერ კიდევ 2018 წელს მოძრაობა — „არა ბარბაროზებს“ — ფარგლებში ჩატარებულ სკოლის მოსწავლეთა კონკურსში — „გავუფრთხილდე მშობლიურ ენას“ — დაწერილი ესსეების, მას, ასაკით ყველაზე პატარა გამარჯვებულს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადასცა დიპლომი კონკურსში მოპოვებული წარმატებისთვის (წარმოდგენილია სწორედ აღნიშნულ ღონისძიებაზე დაჯილდოების ამსახველი ფოტო).

გიორგი განსაკუთრებული სიბოთით საუბრობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე, აქ შექმნილ გარემოზე: „ამ უნივერსიტეტმა წარმატებულ, პროფესიონალ ექიმთა მრავალი თაობა აღზარდა და გზა დაულოცა პროფესიულ საქმიანობაში. დღესაც, საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები, უკვე თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით, ძალისხმევას არ იშურებენ ჩვენი განათლებისთვის, რაც დიდი სტიმული და საუკეთესო წინაპირობაა პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის.“

ლუკა დორელიც ერთი მათგანია, ვინც მისაღები გამოცდების წარმატებით დაძლიების შემდეგ მაღალი ქულებით ჩაირიცხა თსსუ-ში. მისი არჩევანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის ფაკულტეტი, მიზანი — ამბიციური, თუმცა კეთილშობილური: სჯერა, რომ მომავალში, ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაუყრის საფუძველი: „ვიცი, რომ ბევრი შრომა დამჭირდება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, წარმატებული ვიქნები და ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის შესაძლებლობა მომიცემა“...

და ალბათ, ლოგიკურია, სოფიო ივანიძის ერთგვარი მოწოდებით თუ რჩევით დაეასრულოთ თანატოლებისადმი: „ვინც სამედიცინო უნივერსიტეტი სტუდენტები გახდით, მინდა უსუსტად გაანალიზოთ, როდენ საპასუხისმგებლო და რთული გზა აირჩიეთ. არასოდეს შეწყვიტოთ სწავლა,



არ იფიქროთ, რომ რამე არ გამოგივათ. მონდომებით და შრომისმოყვარეობით ყველაფრის მიღწევა შეგიძლიათ. ყველაზე ბედნიერი მომენტი კი მაშინ დადგება, როცა საკუთარ თავს ეტყვიან: მე ეს შევეძლი!“... ამ ეტაპზე მათ შეძლეს საუკეთესოთა შორის საუკეთესოებად წარმოჩენილნი და მომავალშიც, გვეჯერა, მნიშვნელოვანი სიტყვას იტყვიან მედიცინის განვითარებაში.

ნატო გოლკვაძე

ოცნებები სრულდება თუ შრომის ფასი იხი


არსებობს მდიდარი, თითქმის საუკუნოვანი ისტორიით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი — ლიდერი სამედიცინო-საგანმანათლებლო ცენტრი ამიერკავკასიის რეგიონში — ყოველთვის გამოირჩევა წარმატებულ ახალგაზრდათა სიმრავლით, მის სიძლიერესა და სიმტკიცეს რომ განაპირობებენ...

დღესაც, საყოველთაო პანდემიის მიუხედავად, არასასურველი პირობები რომ შექმნა სასწავლო პროცესში სტუდენტების სრულფასოვანი ჩართულობის თვალსაზრისით, შესაძლებლობის მაქსიმუმი კეთდება მომავალმა ექიმებმა, სტომატოლოგებმა, რეაბილიტოლოგებმა და ჯანდაცვის საქმის ორგანიზატორებმა და ფარმაცევტებმა თსსუ-ის სასწავლო აუდიტორიებსა თუ კლინიკებში, ასევე, დისტანციური მეცადინეობების საშუალებით, აუცილებელი ცოდნის მიღება რომ შეძლონ...

და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ არასახარბიელო პერიოდში, საუკეთესო ახალგაზრდების შესახებ რომ საუბრობენ, სამომავლო წარმატებისკენ სწრაფით განარჩევენ და მათი ღირსეული ადამიანური თვისებებითაც ხარობენ.

სიამაყით საუბრობს პროფესორი ლელა მასხუღია, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, ნოდარ (ნოდო) აფციაურზე, დამამთავრებელი სემესტრის წარჩინებულ სტუდენტზე, როცა მის წარმატებულ ყოველდღიურობასა და სამომავლო პერსპექტივაზე აკეთებს აქცენტს.

საამაყოა, ასეთი ახალგაზრდები რომ ჰყავს უნივერსიტეტს, საზოგადოებას, ქვე-



ყანას... ნოდოს პიროვნებაში კარგად ჩანს ნიჭიერებაც და ინტელექტიც, მიზანდასახულობა და კიდევ — იშვიათი თვისებების — ადამიანური სინაფისის და თავაზიანობის ერთიანობა; სწორედაც, ასეთი სძენენ, თავისებურ ხიბლს საუნივერსიტეტო ცხოვრებას.

როგორც თვითონ ამბობს, ძალიან სურდა იქ ყოფილიყო, სადაც ახლაა — რეაბილიტოლოგის რთულ, მაგრამ საჭირო პროფესიის დაუფლებოდა...

მალეც აისრულეს ოცნებას — რამდენიმე თვეში ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში ჩადგება და შეუდგება ურთულეს გზას ამ კონტინენტის პაციენტთა მდგომარეობის მნიშვნელოვნად შემსუბუქება, ან, შესაძლოა, სულაც, — პირვანდელ მდგომარეობაში მათი დაბრუნება რომ ჰქვია...

რეობაში მათი დაბრუნება რომ ჰქვია...

გარკვეულ პერიოდში ნოდო კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში მუშაობდა, სადაც თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტებია განთავსებული და თანამედროვე ევროპული სტანდარტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებია დანერგილი.

მისაბაძ პროფესიონალად ბატონი ზურაბ კახაბრიშვილი დაასახელა, საერთაშორისო დონის სპეციალისტი, აღიარებული ექიმი სპორტულ სამყაროში.

„წარმატებით შესრულებულ ოპერაციას შესაბამისი სარეაბილიტაციო პირობების შექმნაც სჭირდება პაციენტისთვის, — ამბობს ნოდარი და, ამ მხრივ, ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ სათანადო პირობების არქონაზე საუბრობს, — წვდომა უნდა გაიზარდოს ყველანაირი სარეაბილიტაციო სერვისისადმი; სხვაგვარად ძნელია, ისაუბრო სასურველი შედეგზე, მეურნალობის თანამედროვე სტანდარტების არსებობის შემთხვევაშიც კი...“

სწავლის გაგრძელებას და პროფესიულ სრულყოფას უცხოეთში გვემავს, უცხოური ენების ცოდნაც უწყობს ამაში ხელს;

დარეჯან კომლაძე

ვაჟა გვანცელაძე



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა პროფესორი ვაჟა გვანცელაძე – უმაღლესი სამედიცინო განათლების პატრიარქთაგანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი თერაპიის კათედრის ყოფილი გამგე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს გასტროენტეროლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს ინტერნისტთა საზოგადოების წევრი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი (2003), სპორტის ოსტატი (1954), სსრკ ჩემპიონი ჭაბუკთა შორის კალათბურთში (1948), საქართველოს ჩემპიონი კალათბურთში (1950), თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრი (1950-1959).

პროფესორი ვაჟა გვანცელაძის პროფესიული რენომე ეფუძნებოდა ხანგრძლივ და წარმატებულ პედაგოგიურ, სამედიცინო და საექიმო საქმიანობას.

ბატონი ვაჟა დაიბადა თბილისში 1932 წელს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მან თანმიმდევრულად და კანონზომიერად განვლო პროფესიული და აკადემიური კარიერის საფეხები თავის Alma Mater-ში: იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგიური, სტომატოლოგიური და პროფილაქტიკური მედიცინის ფაკულტეტების თერაპიის კათედრის ასისტენტი (1959-1970), დოცენტი (1970-1989), პროფესორი (1989-1994), ზოგადი თერაპიის კათედრის გამგე (1994-2001), შინაგან სნეულებათა მე-5 კათედრის პროფესორი (2001-2006). ნაყოფიერი აკადემიური საქმიანობის პარალელურად, პროფესორი ვაჟა გვანცელაძე ეწეოდა ასეთივე ნაყოფიერ საქმიანობას თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ და კარდიოლოგიურ განყოფილებებში.

ბატონი ვაჟა ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტთა შორის; ათლეტურ შეუპოვრობასთან და გულისხმიერებასთან ერთად, იგი გამოირჩეოდა მაღალი შრომისუნარიანობით, რისი დასტურიცაა მის მიერ სამაგალითოდ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობები და ლექციები, მისი მაღლიანი საქმიანობის მოღვაწეობა, საინტერესო სამედიცინო კვლევები.

ბატონი ვაჟას საკანდიდატო („პანკრეასის გარე სეკრეციულ ფუნქციაზე ზვარეს მინერალური წყლის მოქმედების ექსპერიმენტული და კლინიკური გამოკვლევა“, 1965) და სადოქტორო („ქრონიკული გასტრიტის კლინიკურ-მორფოლოგიური ფორმები“, 1988) დისერტაციებში დადგინდა

მტკიცებულებებს პრაქტიკული და ფუნდამენტური მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ. მან, თანავტორებთან ერთად, საინტერესო სამედიცინო კვლევათა სერია მოუძღვნა, ასევე, კარდიოლოგიისა და პულმონოლოგიის აქტუალურ საკითხებს, რითაც ნათელი მოჰფინა მთელ რიგ საკამათო ასპექტებს. ბატონი ვაჟა 70-ზე მეტი სამედიცინო და მეთოდური ნაშრომის ავტორია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2003 წელს, ახალგაზრდა კოლეგასთან, თავის მოსწავლესთან, ან გარდაცვილი პროფესორ გიორგი კალანდარიშვილთან ერთად, მან შექმნა სახელმძღვანელო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისათვის - „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია“, ხოლო 2006 წელს სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებისათვის, სახელმძღვანელო - „შინაგან სნეულებები და მედიცინის მოვალეობა“; 2006 წელს მისი მასწავლებლის, პროფესორ გიორგი მხვიძის, 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბატონმა ვაჟამ გამოსცა მონოგრაფია, გაჯერებული საინტერესო ისტორიული, აკადემიური და საექიმო წიაღსვლებით. ვაჟა გვანცელაძის ყველა ნაშრომი იკითხება საინტერესოდ, ეფუძნება ავტორის ხანგრძლივ საქმიანობას და აკადემიურ გამოცდილებას და ამიტომაც ჩვენს არს და კიდევ დიდხანს იქნება ღირებული მკითხველთათვის.

პროფესორ ვაჟა გვანცელაძეს ყოველთვის აქტიური პოზიცია ეკავა და ჩართული იყო სამედიცინო უნივერსიტეტის მეთოდურ, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში. წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო-პედაგოგიური საბჭოს წევრი, ციკლობრივი მეთოდური კომისიის თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოების წევრი (თერაპიაში), სანარმოო პრაქტიკის და ინტერნატურის დეკანი; ამიტომაც, სრულიად ორგანული იყო მისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრის საპატიო ფუნქცია; ბატონი ვაჟა სოლიდურ პროფესიულ გამოცდილებას და ცოდნას ამ პოზიციიდან გულუხვად გასცემდა, მონაწილეობდა სასიკეთო აქტივობებში უნივერსიტეტის პროფესორისა და სტუდენტებისათვის.

დიდა ბატონი ვაჟას დამსახურება ქართული სპორტის წინაშე; მისი ბიოგრაფია ხომ ქართული კალათბურთის ისტორიის ღირსშესანიშნავი ფურცელია. მტკიცე ხასიათი, ორგანიზებულობა, თავდადება, შრომისმოყვარეობა და ერთგულება - პროფესორ ვაჟა გვანცელაძის თვისებებია, რამაც განსაზღვრა მის მიერ დამსახურებული წარმატების მიღწევა ორ ისეთ სფეროში, უდიდეს შრომას და, ზოგჯერ, თავგანწირვას რომ მოითხოვს - შინაგან მედიცინასა და სპორტში.

პროფესორი ვაჟა გვანცელაძე მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის სადარაჯოზე იდგა. მას ეს შეეძლო, უპირველესად, იმიტომ, რომ თავად ბრძანდებოდა კომპეტენტური, ანონილ-დანონილი, პირნათელი და ვაჟაკური ქცევის და დამოკიდებულების ეტალონი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პატივს მიაგებს პროფესორ ვაჟა გვანცელაძის ხსოვნას და გულისტკივილით ემშვიდობება მას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ზურაბ გვენცელაძე



სამედიცინო საზოგადოებამ მტკივნეული და შეუვსებელი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა ზურაბ გვენცელაძე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსი, ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, საქართველოს 1998 წლის საუკეთესო მედიცინის მუშაკის საპატიო მედლის მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი (2002 წ.).

ბატონი ზურაბ გვენცელაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ოქროსი ფონდის“ წარმომადგენელია. მის საქმიანობაში, აკადემიურ და სამედიცინო ღირსებათა და დამსახურებათა ჩამონათვალი ფერმკრთალდება იმ კეთილშობილებასთან, კეთილმოსურნეობასა და საიმედოობასთან, რომელიც თან სდევდა ბატონ ზურაბს და რასაც იგი უშურველად ასხივებდა სიცოცხლის ბოლომდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას - პროფესორი ზურაბ გვენცელაძე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახე და სინდისი.

ბატონი ზურაბი დაიბადა 1940 წელს, ტყიბულის რაიონის სოფელ სანირეში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) სტომატოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1963 წელს, ბატონმა ზურაბმა დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობა დაიწყო და სამი წელი სვანეთში, ლენტეხის რაიონში მუშაობდა ექიმ-სტომატოლოგად. შემდგომ, დაიწყო მისი საქმიანობის საინტერესო პერიოდი - ნაყოფიერ კლინიკურ მუშაობასთან ერთად, აკადემიური საქმიანობა. 1966-69 წლებში იყო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის ასპირანტი; 1971 წელს, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მოგვიანებით კი, - 1998 წელს, სადოქტორო დისერტაცია. 1978 წლიდან ბატონი ზურაბის პროფესიული მოღვაწეობა მისი Alma Mater-ის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის ნაწილია: 1978-84 წწ. იყო ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი, 1984-97 წწ. - დოცენტი, 1997-დან კი - კათედრის (2006 წლიდან - დეპარტამენტის) ხელმძღვანელი.

ბატონი ზურაბ გვენცელაძე სხვადასხვა დროს საქმიანობას წარმართავდა ქ. თბილისის მე-8 კლინიკურ საავადმყოფოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, 2012 წლიდან - მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში (2020 წლიდან - მსს - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“). ბატონი ზურაბის აზრი, ცოდნა, გამოცდილება და პროფესიული ალღო სრულიად უალტერნატივო იყო ყბა-სახის მიდამოს მძიმე ტრავმების, მძიმედ მიმდინარე ანთებითი პროცესების, სახის ნერვების ალგური ფუნქციით მიმდინარე დაავადებების, სიმსივნეების, სახის თანდაყოლილი თუ შექმნილი დეფორმაციების, სხვა პათოლოგიების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებში. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა პროფესორი ზურაბ გვენცელაძე, ყბა-სახის ქირურგიის საკითხებთან ერთად, საგულისხმო და ქმედითი იყო მისი როლი ყბა-სახის მიდამოსთან შეწყვეტილი მძიმე დაზიანებების მკურნალობაში ნეიროქირურგიული, ტრავმატოლოგიური და სხვა პათოლოგიების დროს.

ბატონი ზურაბის ცოდნა და ნააზრევი ასახულია 150-მდე სამედიცინო პუბლიკაციაში, საინტერესო მოხსენებებში; იგი იყო ავტორი გამოგონებისა - „ენდოპროთეზები ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტების აღსადგენად“.

ვისაც ერთი შეხვედრა მაინც ჰქონია და უსაუბრია ბატონ ზურაბთან, გამორჩეულ მოგონებად დარჩება მისი კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი, სიდარბაისლე, ტკბილმოუბრობა, ავკარგაინობა - თვისებები, ასე რომ ამშვენებს და განუყოფელ ხიბლს სძენს ადამიანს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეული წევრი - დიდი თუ პატარა - ყოველთვის გრძნობდა მის სიბრძნეს, სითბოს და ჰქონდა მისი იმედი. იყო უნივერსიტეტის პატრიარქი, სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა კოლეგებისთვის კი - მეტოქე და უფროსი მეგობარი, პაციენტებისთვის - იმედი და საყრდენი, ახლობლებისთვის - თბილი და მართალი მეგობარი.

ბატონ ზურაბს შესანიშნავი შთამომავლობა დარჩა, მან სწორად იცხოვრა, იშრომა, იღვანა, დათესა მხოლოდ სიკეთე და მადლიერება, დატოვა შეუზღალავი ავტორიტეტი. სამწუხაროდ, ბუნების კანონებს ვერაფერი ცვლის. ბატონი ზურაბი წავიდა მართლაც რომ პროფესიული სიბრძნის ხანაში და გულნატკენი დატოვა მეუღლე, შვილი, მოწაფეები, მადლიერ პაციენტთა არმია, ახლობლები და კოლეგები.

პროფესორ ზურაბ გვენცელაძის სახელს და სახეს საშუალოდ აქვს ღირსეული ადგილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითქმის საუკუნოვანი ისტორიაში, პატივისმცემელი და მადლიერი ადამიანების მოგონებებში.

პროფესორ ზურაბ გვენცელაძის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის, საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ბესიკ კოჭლამაზაშვილი



მის ასაკობრივი მორფოლოგიური ცვლილებების შესახებ დაბერების პროცესში, იყო ახალი სიტყვა გერონტოლოგიაში და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

იგი გახლდათ საქართველოს ექიმთა ასოციაციის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, ასევე, - თსსუ-ის ავტონომიზაციის დებულების თანავტორი და წესდების შემქნელი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.

ბატონი ბესიკი, როგორც სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების, თბილისისა და საგვარეულოთა

სადროშოს წევრი, ღრმა მეცნიერულ კვლევებს აწარმოებდა ქართული გვარების წარმომავლობის შესახებ, რასაც 2 მონოგრაფია უძღვნა კიდევ, ხოლო მესამის დასრულება, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

იგი, როგორც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორი, მნიშვნელოვან შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა და არაერთი საინტერესო იდეისა და წინადადების განმახორციელებელი თუ ხორცშემსხმელი გახლდათ ამ თვალსაზრისით.

ბესიკ კოჭლამაზაშვილის სახით კიდევ ერთ მამულიშვილს, განსწავლულ პროფესორს, სანაქებო კოლეგას, მეცნიერს და ექიმს, ვიხსენებთ, ყველას დიდი ტკივილი რომ დაგვიტოვა, აუსრულებელ გეგმებთან და განუხორციელებელ ოცნებებთან ერთად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური ასისტენტი დეპარტამენტი

